ტესტი მუსიკაში

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები 1-6.

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და გაეცით პასუხები შესაბამის კითხვებზე. პირველ ექვს დავალებაში თითოეულისათვის განკუთვნილია ერთი მუსიკალური ფრაგმენტი და ორი კითხვა. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. აირჩიეთ და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ ერთი სწორი პასუხი.

მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია.

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გეძლევათ 10 წამი, რათა წაიკითხოთ დავალების კითხვები.

(დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან.)

დავალება 1. (2 ქულა)

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (1.1 და 1.2):

1.1 რომელი კუთხის სიმღერაა?

ა) ქართლის;

ბ) სვანეთის;

გ) აჭარის;

დ) სამეგრელოს.

1.2 რა ჟანრის სიმღერაა?

ა) რიტუალური;

ბ) შრომის;

გ) სუფრული;

დ) ლაშქრული.

დავალება 2. (2 ქულა)

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (2.1 და 2.2):

2.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) გოგი ცაბაძე;

ბ) რევაზ ლაღიძე;

გ) ბიძინა კვერნაძე;

დ) სულხან ცინცაძე.

2.2 რომელი კინოფილმიდან არის სიმღერა?

ა) „შეხვედრა მთაში“;

ბ) „აბეზარა“;

გ) „როცა აყვავდა ნუში“;

დ) „არაჩვეულებრივი გამოფენა“.

დავალება 3. (2 ქულა)

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (3.1 და 3.2):

3.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ფერენც ლისტი;

ბ) რობერტ შუმანი;

გ) კარლ ვებერი;

დ) ფრიდერიკ შოპენი.

3.2 რომელი ცეკვა უდევს საფუძვლად ნაწარმოებს?

ა) მაზურეკი;

ბ) ვალსი;

გ) ხაბანერა;

დ) ტარანტელა.

დავალება 4. (2 ქულა)

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (4.1 და 4.2):

4.1 რომელი პერსონაჟის პარტია ჟღერს?

ა) აიდას;

ბ) ჯილდას;

გ) ვიოლეტას;

დ) ანას.

4.2 რა ჟანრის სოლო საოპერო ნომერია?

ა) რომანსი;

ბ) არიოზო;

გ) არია;

დ) ბალადა.

დავალება 5. (2 ქულა)

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (5.1 და 5.2):

5.1 რომელი ეპოქის ნაწარმოებია?

ა) რენესანსის;

ბ) XIX საუკუნის;

გ) ბაროკოს;

დ) XX საუკუნის.

5.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ადოლფ ადანი;

ბ) სერგეი პროკოფიევი;

გ) პეტრე ჩაიკოვსკი;

დ) ლუდვიგ მინკუსი.

დავალება 6. (2 ქულა)

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (6.1 და 6.2):

6.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) სულხან ცინცაძე;

ბ) გია ყანჩელი;

გ) ნოდარ გაბუნია;

დ) ბიძინა კვერნაძე.

6.2 რომელი საკრავი ასრულებს სოლო პარტიას?

ა) კლარნეტი;

ბ) ვიოლონჩელო;

გ) ვალტორნა;

დ) ალტი.

დავალება 7. (1 ქულა)

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი კილოს შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი.

კილოს მოისმენთ ორჯერ.

მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



დავალება 8. (1 ქულა)

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი რიტმული ფიგურაციის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი.

რიტმულ ფიგურაციას მოისმენთ ორჯერ.

მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



დავალება 9. (5 ქულა)

მელოდიური კარნახი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მელოდიას და ჩაწერეთ სანოტო სისტემაზე. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ოთხჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია.

კარნახი მოცემულია ტონალობაში დო მაჟორი (C dur).

<u>ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაზე.</u>

დავალება 10. (13 ქულა)

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ნაწარმოები და გააანალიზეთ მოცემული საკითხების მიხედვით, აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე.

ნაწარმოებს მოისმენთ სამჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

(კითხვები მოცემულია მომდევნო ორ გვერდზე.)

1. რომელ ვოკალურ ჟანრს მიეკუთვნება მოცემული ნაწარმოები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება (2 ქულა).

2. დაადგინეთ:

ა) ნაწარმოების მუსიკალური ფორმა (1 ქულა);

ბ) ნაწარმოების ტონალობა (1 ქულა);

გ) ნაწარმოების ბოლოს, 75-ე ტაქტიდან მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები (1 ქულა).

3. დაახასიათეთ, როგორ ვითარდება ნაწარმოების მხატვრულ-ემოციური მხარე; გააანალიზეთ და მოკლედ აღწერეთ, მუსიკალური გამომსახველობის რომელი ხერხები, როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, ტემბრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა. შ. - არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ ნაწარმოების მხატვრული შინაარსის შექმნისათვის (3 ქულა).

4. ნაწარმოების მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე დაადგინეთ მისი შექმნის ეპოქა და კომპოზიტორის ვინაობა (2 ქულა).

5. განიხილეთ ნაწარმოების ისტორიულ-კულტურული კონტექსტი; მოკლედ დაახასიათეთ კომპოზიტორის შემოქმედება და გამოყავით მის მუსიკალურ მემკვიდრეობაში იმ ჟანრის მნიშვნელობა, რომელსაც მოსმენილი ნაწარმოები მიეკუთვნება (3 ქულა).

(მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი მოცემულია მომდევნო გვერდებზე.)

Etwas lebhaft.

Pianoforte

dim.

p

pp

5

In ei - nem Bäch-lein hel - le, da schoß in fro - her -

p


10
Eil die lau - ni - sche Fo - rel - le vor - ü - ber - wie ein Pfeil. Ich
15
stand an dem - Ge - sta - de und sah in sü - ßer - Ruh des


19
mun - tern Fisch-leins Ba - de im kla - ren Bäch-lein zu, des


23
mun - tern Fisch-leins - Ba - de im kla - ren Bäch-lein zu.


27
Ein
p
pp
31
fi - scher mit der Ru - te wohl an dem U - fer - stand, und
p


35
sah's mit kal - tem Blu - te, wie sich das - Fisch-lein wand. So
39
lang' dem Was - ser - Hel - le, so dacht ich, nicht-ge - bricht, so


43
fängt er die Fo - rel - le mit sei - ner An - gel nicht, so
47
fängt - er die - Fo - rel - le mit sei - ner An - gel nicht.


51
Doch
p
pp
55
end - lich ward dem Die - be die Zeit zu
cresc.


58
lang. Er macht das Bäch - lein tük - kish
p
cresc.
61
trü - be, und eh ich es ge-dacht, so zuck - te sei - ne
p


65
Ru - te, das Fisch - lein, das Fisch - lein zap - pelt dran, und
p
69
ich mit re - gem Blu - te sah die Be - trog - ne an, und


73
ich mit re - gem - Blu - te sah die Be-tro-gne an.
77
dim.
pp

II ნაწილი

დავალებები 11-28. (თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.)

<u>ინსტრუქცია</u>. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

დავალება 11.

ვარიაციული ფორმა აგებულია:

ა) ძირითადი მუსიკალური თემის (რეფრენის) განმეორებასა და მონაცვლეობაზე სხვა თემებთან (ეპიზოდებთან);

ბ) ერთი ან ორი მუსიკალური თემის სახეშეცვლილ გამეორებაზე;

გ) რამდენიმე მუსიკალური თემის ექსპოზიციაზე, დამუშავებასა და რეპრიზაზე;

დ) მუსიკალური ფორმის პირველსა და მესამე ნაწილებში ერთი და იმავე (ან ოდნავ სახეშეცვლილ), ხოლო მეორე ნაწილში - ახალ მუსიკალურ მასალაზე.

დავალება 12.

ჩამოთვლილ დაჯგუფებათაგან რომელია *<u>მცდარი</u>* ?

ა) მამაკაცთა სასიმღერო ხმებია: კონტრტენორი, ტენორი, ბარიტონი, ბანი;

ბ) ხის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფს მიეკუთვნება: ფლეიტა, კლარნეტი, ჰობოი, ფაგოტი;

გ) მუსიკალურ-თეატრალური ჟანრებია: ოპერა, ოპერეტა, მიუზიკლი, ორატორია;

დ) კლასიციზმის ეპოქის კომპოზიტორები არიან: გლუკი, ჰაიდნი, მოცარტი, ბეთჰოვენი.

დავალება 13.

ჩამოთვლილთაგან რომელი *<u>არ ახასიათებს</u>* შუა საუკუნეების მუსიკალურ კულტურას?

ა) მონოდია;

ბ) გრიგორიანული ქორალი;

გ) გვიდო დ’არეცოს სანოტო დამწერლობა;

დ) ოპერის ჟანრი.

დავალება 14.

რომელი მიმდინარეობის დროს/ეპოქაში შეიქმნა კონჩერტო გროსოს (იტ. *concerto grosso*) ჟანრი?

ა) ბაროკოს;

ბ) რომანტიზმის;

გ) ექსპრესიონიზმის;

დ) რენესანსის.

დავალება 15.

ჰექტორ ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონია“ არის:

ა) ორნაწილიანი რომანტიკული სიმფონია;

ბ) კლასიკური ოთხნაწილიანი სიმფონიური ციკლი;

გ) პროგრამული სიმფონიური ციკლი ლაიტმოტივით;

დ) სიმფონია სოლისტი ვოკალისტებითა და გუნდით.

დავალება 16.

რომელ ქალაქში ცხოვრობდა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი სიცოცხლის ბოლო ათწლეულში?

ა) პარიზში;

ბ) ზალცბურგში;

გ) ვენაში;

დ) პრაღაში.

დავალება 17.

რა ეწოდება ორკესტრის ყველა ინსტრუმენტის მიერ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტის ერთდროულ შესრულებას?

ა) Sforzando;

ბ) Tutti;

გ) Rubato;

დ) Arpeggio.

დავალება 18.

რომელ კომპოზიტორს მიუძღვის წვლილი ელექტრონული მუსიკის განვითარებაში?

ა) იანის ქსენაკისს;

ბ) სერგეი პროკოფიევს;

გ) კარლ ორფს;

დ) არნოლდ შონბერგს.

დავალება 19.

რომელმა კომპოზიტორმა შეიტანა პირველად ქართულ პროფესიულ მუსიკაში ფშავური კილო?

ა) სულხან ნასიძემ;

ბ) ოთარ თაქთაქიშვილმა;

გ) შალვა მშველიძემ;

დ) ანდრია ბალანჩივაძემ.

დავალება 20.

რომელ ჩამონათვალშია მესის ნაწილების სწორი თანმიმდევრობა?

ა) Kyrie; Sanctus, Benedictus; Agnus Dei; Credo; Gloria;

ბ) Gloria; Agnus Dei; Sanctus, Benedictus; Credo; Kyrie;

გ) Credo; Sanctus, Benedictus; Kyrie; Agnus Dei; Gloria;

დ) Kyrie; Gloria; Credo; Sanctus, Benedictus; Agnus Dei.

დავალება 21.

ჩამოთვლილთაგან, რომელი ბალეტის მუსიკაში გაიჟღერა პირველად ჩელესტას პარტიამ?

ა) „პეტრუშკას“;

ბ) „ჟიზელის“;

გ) „მაკნატუნას“;

დ) „რომეო და ჯულიეტას“.

დავალება 22.

რა ეწოდება იუმორისტული ან/და გროტესკულ-ფანტასტიკური ხასიათის ინსტრუმენტულ პიესას?

ა) ნოქტიურნი;

ბ) პასტორალი;

გ) ბალადა;

დ) სკერცო.

დავალება 23.

ციკლი, რომელშიც გამოყენებულია კანკანის მელოდია ჟაკ ოფენბახის ოპერეტიდან, არის:

ა) მოდესტ მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“;

ბ) კამილ სენ-სანსის „ცხოველთა კარნავალი“;

გ) კლოდ დებიუსის „საბავშვო კუთხე“;

დ) პეტრე ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონი“.

დავალება 24.

რომელი ოპერის ფრაგმენტია „ტორეადორის მარში“?

ა) „ლოენგრინის“;

ბ) „კარმენის“;

გ) „აიდას“;

დ) „ფიგაროს ქორწინების“.

დავალება 25.

ჩამოთვლილთაგან, რომელი *<u>არ არის</u>* პოლიფონიური ფორმა:

ა) კანონი;

ბ) ფუგა;

გ) ინვენცია;

დ) პრელუდია.

დავალება 26.

რა ეწოდება სიმებიან-ხემიანი საკრავის სიმზე თითის გამოკვრით შესრულების ხერხს?

ა) Legato;

ბ) Glissando;

გ) Pizzicato;

დ) Arco.

დავალება 27.

რომელი იტალიური ტერმინი გამოხატავს ტემპის აჩქარებას მუსიკალურ ნაწარმოებში?

ა) Accelerando;

ბ) Diminuendo;

გ) Portamento;

დ) Agitato.

დავალება 28.

რა ეწოდება ცეკვას, რომელიც ზოგიერთი კლასიკური სიმფონიის ერთ-ერთი ნაწილია?

ა) სარაბანდა;

ბ) მენუეტი;

გ) ალემანდა;

დ) პოლონეზი.

დავალებები 29 - 32. (თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.)

ნოტიდან აგება

<u>ინსტრუქცია</u>. ააგეთ <u>ლა</u> ნოტიდან მოცემული ინტერვალი, სამ- და ოთხხმიანი აკორდები, კილო და ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში.

29. წმინდა კვინტა;

30. მინორული კვარტსექსტაკორდი;

31. მცირე მაჟორული სეპტაკორდი;

32. ჰარმონიული მინორი.

დავალებები 33 - 35.

შესაბამისობის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალის ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ მოცემულობათა შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის <u>მხოლოდ ერთი</u> მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). თითოეული შესაბამისობა მონიშნეთ X ნიშნით პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში.

დავალება 33. (თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.)

დაადგინეთ შესაბამისობა ფრანგ მწერლებსა და იმ კომპოზიტორებს შორის, რომელთა ოპერების ლიტერატურული პირველწყაროა ჩამოთვლილი მწერლების ნაწარმოებები:

1. ალექსანდრ დიუმა (შვილი)	ა) ჯაკომო პუჩინი;
2. პიერ ბომარშე	ბ) ჟორჟ ბიზე;
3. პროსპერ მერიმე	გ) ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი;
	დ) ჯუზეპე ვერდი;
	ე) ქრისტოფ გლუკი.

დავალება 34. (თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.)

დაადგინეთ შესაბამისობა ოპერებსა და მუსიკის ავტორებს შორის:

1. „მინდია“	ა) რევაზ ლაღიძე;
2. „ქეთო და კოტე“	ბ) ზაქარია ფალიაშვილი;
3. „ლელა“	გ) დიმიტრი არაყიშვილი;
	დ) ოთარ თაქთაქიშვილი;
	ე) ვიქტორ დოლიძე.

დავალება 35. (თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.)

დაადგინეთ შესაბამისობა საფორტეპიანო ნაწარმოებებსა და ჟანრებს შორის:

1. „კარნავალი“	ა) სიუიტა;
2. „რევოლუციური“	ბ) კონცერტი;
3. „პათეტიკური“	გ) ეტიუდი;
	დ) სონატა;
	ე) რაფსოდია.

დავალებები 36–40. (თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.)

„ჭეშმარიტია - მცდარია“

<u>ინსტრუქცია</u>. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა X ნიშნით; ასეთ შემთხვევაში, კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.

მცდარი დებულების შემთხვევაში, მოცემულ განმარტებას შეუსაბამეთ სწორი ტერმინი/სიტყვა ან მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწერეთ სწორი განმარტება.

<u>გაითვალისწინეთ</u>, რომ არ მიიღება პასუხი, რომელშიც მოცემული განმარტების დადებითი ფორმა შეიცვლება უარყოფითით ან პირიქით.

დავალება 36.

მოდულაცია მუსიკაში ტემპის ცვლას ნიშნავს.

დავალება 37.

სეკვენცია არის მუსიკალური კომპოზიციის ხერხი, რომლის დროს მუსიკალური ფრაზა მეორდება სხვადასხვა სიმაღლის ბგერიდან.

დავალება 38.

სვანურ ხალხურ სიმღერებს ახასიათებს ბურდონული ბანი.

დავალება 39.

საოპერო რეჩიტატივი არის ვოკალური ფორმა, მუსიკალური დეკლამაცია, რომელიც გამოხატავს სამეტყველო ინტონაციასა და რიტმს.

დავალება 40.

იოჰან სებასტიან ბახის ინსტრუმენტული შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუშია საორკესტრო სუიტა „მუსიკა წყალზე“.

დავალებები 41 – 42. (თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.)

ქრონოლოგიის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხების ცხრილში ქრონოლოგიური მიმდევრობა აღნიშნულია ციფრებით 1-დან 4-მდე. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში, შერჩეული ციფრის გასწვრივ ჩაწერეთ სწორი პასუხები ანბანის შესატყვისი ასოებით (ა, ბ, გ, დ).

დავალება 41.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ სიმფონიები მათი შექმნის დროის მიხედვით:

ა) „დაუმთავრებელი“;

ბ) „ლიტავრების ტრემოლოთი“;

გ) „გმირული“;

დ) „ახალი სამყაროდან“.

დავალება 42.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ კომპოზიტორების ჩამონათვალი მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდების შესაბამისად:

ა) ჯორჯ გერშვინი;

ბ) ფელიქს მენდელსონი;

გ) ანტონიო ვივალდი;

დ) იოზეფ ჰაიდნი.